ქიმიის დეპარტამენტის 2016 წლის სტუდენტთა სამეცნიერო წრის ანგარიში

მარინა ქარჩხაძე
ელ–ფოსტა: marina.karchkhadze@tsu.ge
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის დეპარტამენტი, 0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, 3

სტუდენტთა სამეცნიერო წრე აერთიანებს ბაკალავრიატის 42 სტუდენტს,13 მაგისტრანტს და 6 დოქტორანტს.

2016 წლის განმავლობაში ჩატარებული ღონისძიებები:

1. ჩატარებულია ქიმიის მიმართულების სტუდენტთა სამეცნიერო წრის 2 სამუშაო სემინარი, ორი Worrkshop-ი და ერთი სამეცნიერო კონფერენცია.
2. 2016 წლის 16 მაისს ჩატარდა მესამე ვორქ-შოპი, სადაც მონაწილეობა მიიღო 8 სტუდენტმა.
3. თსუ მეოთხე სტუდენტური კონფერენციაში მონაწილეობდა 20 სტუდენტი. დაცულია 15 საბაკალავრო და 2 სამაგისტრო ნაშრომი. დოქტორანტებმა (3 დოქტორანტი) წარმოადგინეს სამეცნიერო მოხსენებები: 1 კოლოქვიუმი და 3 სასემინარო ნაშრომი.
4. 2016 წლის 18 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქიმიის და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილებაში აკადემიის და ქიმიის დეპარტამენტის ძალისხმევით ჩატარდა ახალგაზრდა ქიმიკოსთა სამეცნიერო კონფერენცია. 15 სამეცნიერო მოხსენებით წარსდგა ქიმიის დეპარტამენტის ბაკალავრიატის 3 სტუდენტი, 4 დოქტორანტი და 9 მაგისტრანტი.
5. 2016 წლის 14 დეკემბერს ქიმიის მიმართულებაზე ჩატარდა მეოთხე Worrkshop-ი. მოსხსენებით გამოვიდა 11 სტუდენტი.
6. 28-29 დეკემბერს თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრაზე ჩატარდა "ფიზიკური და ანალიზური ქიმიის" კათედრის მე-6 ყოველწლიური სიმპოზიუმი". მოხსენებით გამოვიდა ბაკალავრიატის 9 სტუდენტი, 11 მაგისტრანტი და 6 დოქტორანტი.
7. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მუშაობაში (ქუთაისი, 19-20 მაისი) მონაწილეობა მიიღო 1 დოქტორანტმა, 1 მაგისტრანტმა და ბაკალავრიატის ერთმა სტუდენტმა.
8. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის (ურეკი, 21-23 სექტემბერი, 2016 წელი) მუშაობაში მონაწილეობდა 6 დოქტორანტი, 5 მაგისტრანტი და ბაკალავრიატის 2 სტუდენტი.
9. ახალგაზრდა მეცნიერთა მე-5 საერთაშორისო კონფერენციაში „ქიმია დღეს-2016“ (აგრარული უნივერსიტეტი, 18-21 სექტემბერი) -მონაწილეობდა: დოქტორანტი-1, მაგისტრანტი-2.
10. მესამე სამეცნიეო კონფერენციაში „ბუნებრივი და სინთეზური ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები“ (საქ.მეცნ.აკადემია , ფარმაკოქიმია, ორგანული ქიმია-ოქტომბერი, 2016 წელი) მონაწილეობდა 19 მაგისტრანტი და ბაკალავრიატის 2 სტუდენტი.

ქიმიის დეპარტამენტის სტუდენტთა თანაავტორობით გამოქვეყნებულია 7 სამეცნიერო სტატია: უცხოეთში -3, ქართულ გამოცემებში-4

საკვანძო სიტყვები: სტუდენთტთა სამეცნიერო წრე, 2016 წელი, ჩატარებული ღონისძიებები, ანგარიში.